დამტკიცებულია ა(ა)იპ კოლეჯის
„განთიადი“ დირექტორის მიერ

2020 წ. 16 ოქტომბრის N 74 ბრძანებით

ცვლილება : 2023 წ. 16 თებერვლის N10 ბრძანებით

ცვლილება : ბრძანება N70, 09.10.2024.

/ა.დათუაშვილი/

ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2020-2026



სარჩევი

1. შესავალი 3
2. კოლეჯის შესახებ 4
3. მისია, ხედვა, ღირებულებები 6
4. SWOT ანალიზი 7
5. სიტუაციური ანალიზი 8
6. სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026 წწ. 14

შესავალი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა თუ სოციალურმა ცვლილებებმა გამოიწვია ცვლილებები შრომით ბაზარზე, რამაც შესაბამისი გავლენა იქონია განათლების სისტემაზეც. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, 2013 წლიდან ქვეყნისთვის პრიორიტეტული პროფესიები სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

სტრატეგია მოიცავს ინკლუზიური განათლების, ადამიანის და ბავშვთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპებს. სტრატეგიის მიხედვით საზოგადოების ყველა ფენის და ჯგუფის უფლებაა მიიღოს პროფესიული განათლება, მიუხედავად მისი ფიზიკური, ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, თუ საცხოვრებელი ადგილისა.

სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმის დოკუმენტს, რომელიც აღწერს კოლეჯის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს, მოიცავს გრძელვადიან ხედვებს, სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს. გეგმა შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე. გეგმის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს კოლეჯის განვითარებას (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსები), არსებული რესურსების გაუმჯობესებას, დასაქმების/ თვითდასაქმების შესაძლებლობას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განვითარებას, პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, პროფესიული სტუდენტებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარებას, შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებით რეგიონის განვითარებას.

კოლეჯის შესახებ

2012 წლის 24 აგვისტოს (დამფუძნებელთა კრების ოქმი N1) ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „ორიენტის“ და ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადის “ რეორგანიზაციის შედეგად დაფუძნდა ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი „განთიადი“.

2014 წლის 29 აგვისტოს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილება N27) კოლეჯს მიენიჭა 18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება. კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამებს საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმის შესაბამისად. ჩვენი სტუდენტები წარმატებით ეუფლებიან: მღებავის, მებათქაშის, მეფილე–მომპირკეთებელის, შემდუღებლის, ელექტრიკოსის, დურგლის, ზეინკალ-სანტექნიკოსის, ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის, რძის გადამმუშავებლის, ხილ–ბოსტნეულის გადამმუშავებლის, მეხილის, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის, სტილისტის (ქალი,მამაკაცი), ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტი), ბუღალტრის, მასაჟისტის პროფესიებს.

ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით 2018 წლის 12 სექტემბერს (გადაწყვეტილება N175) კოლეჯმა მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „სამღებრო სამუშაოების შესრულება“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი", „იატაკის და ფილის სამუშაოები“, „მეფუტკრე“ განხორციელების უფლება.

2019 წლიდან საქართველოს პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე კოლეჯი იწოდება „ა(ა)იპ კოლეჯი „განთიადი“.

კოლეჯი ორიენტირებილია რეგიონის, შრომის ბაზრისა და მოსახლეობის მოთხოვნებზე, რაც ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას, ახლო კონტაქტების დამყარებას დამსაქმებლებთან, ახალი სპეციალობების გახსნას.

2019 წლის 15 აგვისტოს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N13, გადაწყვეტილება N154) ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადს“ 6 წლის ვადით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი/კოლეჯი და უფლებამოსილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „სამღებრო სამუშაოების შესრულება“, „თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „იატაკისა და ფილის სამუშაოები“, „სამკერვალო წარმოება“, „თმის მომსახურება“, ხოლო 2020 წლის 7 თებერვლის N13 გადაწყვეტილებით (ოქმი N2) კოლეჯმა მოიპოვა უფლება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგამები: „მეფუტკრეობა“, „მეხილეობა“, „მებოსტნეობა“, „სანტექნიკის სისტემების ექსპლოატაცია“, „ელექტროობა“.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, (2021 წლის 17 ივნისი, ოქმი №590212) კოლეჯს მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „შედუღება“, მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებით, „ხის მხატვრული დამუშავება“, განხორციელების უფლება.

გარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა, კოლეჯი ახორციელებს პროფესიული მომზადების პროგრამას „ქალის ტანსაცმლის კერვა, გადაკეთება“ და პროფესიული გადამზადების პროგრამებს: „სხვადასხვა ზედაპირის მოპირკეთება ფილებით“, „საბათქაშე სამუშაოების შესრულება“, „ინტერიერისა და ექსტერიერის დამუშავება დაგრუნტვა და შეღებვა“, „დეკორატიული მცენარეების გამრავლება ღია გრუნტში“, „რეგიონული ტურის მეგზური“, „კვების ობიექტების და გასვლითი ღონისძიებების სერვისი“, ვაშლის, ალუბლის, მსხლისა და ყურძნის ცივად შენახვის ტექნიკა“.

კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები როგორც კოლეჯებთან, ასევე ორგანიზაციებთან, ფიზიკურ პირებთან. სამშენებლო მიმართულებით კოლეჯის პარტნიორები არიან: შპს „ალიტი``, შპს „ემ ეს ჯი``, შპს „ვაშენოთ ერთად``, ააიპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების წყალანირების მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურის სამსახური, ინდ. მეწარმე კახა დათაშვილი; მომსახურების სფეროს მიმართულებით - შპს სილამაზოს ცენტრი „GOLD``ჯულიეტა შიუკაშვილი, შპს სამკერვალო ლიდერი, სამკერვალო გვირისტი, სამკერვალო ,,სომა``, ,,ბუწიკი 19“, შპს სამკერვალო ,,ლიდერი“, შპს სამკერვალო ,,3cm“, შპს „დარბაზი“, შპს „ერისონი“,შპს „ძამა-ტური“, სოფლის მეურნეობის მიმართულებით - შპს ``აგროქართლი``, შპს „აგრო-კომი“, შპს „ნაკადული``, ინდ მეწარმე გოგიტა შერმადინი, ინდ მეწარმე სოფიო იმერლიშვილი, ფ/პ გაიოზ ხაჩიური, შპს „ტირიფონის ხილი“, შპს „ბაღების მართვის კომპანია“.

კოლეჯის მისია

კოლეჯის მისიაა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას ხარისხიანი პროგრამების დანერგვით და კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

ხედვა

2026 წლისთვის იყოს რეგიონში წარმატებული სასწავლებელი, რომელიც ქვეყნისთვის პრიორიტეტული მიმართულების პროგრამების განხორციელებით და და კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობით ხელს უწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას ყველა შესაძლებლობის მქონე ადამიანისთვის.

ღირებულებები

- ✓ პროფესიონალური სწავლება
- ✓ ინკლუზიურობა და ემპათია
- ✓ გენდერული თანასწორობა
- ✓ ბაზრის საჭიროებებზე მორგება
- ✓ თვითგანვითარებისკენ მუდმივი სწრაფვა
- ✓ დასაქმებაზე ზრუნვა და კერძო სექტორთან თანამშრომლობა
- ✓ თანამედროვე და ინტერნაციონალური პრაქტიკებისა და ტექნოლოგიების დანერგვა სწავლებაში

SWOT ანალიზი

SWOT-ანალიზი გულისხმობს შიდა გარემოს გამოკვლევას ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის საფუძველზე შესაძლებლობების, საფრთხეების და რისკების განსაზღვრას გარე ფაქტორების ზემოქმედების შედეგად.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ხელშეწყობა • გეოგრაფიული მდებარეობა • კეთილმოწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემო • ადმინისტრირება • კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი • საბიბლიოთეკო ფონდი • მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები • ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	• კოლეჯს არ გააჩნია საკუთარი შენობა; • საპენსიო ასაკი და დაბალი როტაცია; • არ აქვს ტრანსპორტი სტუდენტების ტრანსპორტირებისთვის • არ აქვს კვების ობიექტი (ბუფეტი); • არ აქვს საერთო საცხოვრებელი; • პარტნიორი ორგანიზაციების სიმწირე • საერთაშორისო კონტაქტების ნაკლებობა;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• მზარდი მოთხოვნები სამშენებლო და აგრარული მიმართულების სფეროებში • დონორი ორგანიზაციების ინტერესი • დამსაქმებელთა ინტერესი • ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება • ინტეგრირებული პროგრამების განვითარება/გაზრდა • მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების ახალი პროგრამები (თვითმმართველობასთან კოორდინაციით) • საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება • შშმ და სსსმ კურსდამთავრებულთათვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა • ჟესტური ენის სწავლების მოკლევადიანი კურსის მომზადება	• პანდემიური სიტუაცია • პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების მოტივაცია • საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფონი • ახალგაზრდების გადინება (როგორც შიდა ასევე გარე მიგრაცია)

სიტუაციური ანალიზი

ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობის ხელშეწყობა

ადგილობრივი და რეგიონალური თვითმმართველობა ხელს უწყობს ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადს“ განათლების სისტემის განვითარებაში.

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან. კოლეჯს უზუფრუქტით გადაეცა გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდისთავში მდებარე სახელოსნოები, რამაც საშუალება მისცა დაემატებინა შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ შორის, ზოგადი ინტეგრირებული მოდულებით. აქტიურად გრძელდება პროფესიული უნარების, დასაქმების სააგენტოებთან თანამშრომლობა. კოლეჯი ახორციელებს როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამებს.

გეოგრაფიული მდებარეობა

კოლეჯს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა უკავია შიდა ქართლის რეგიონში.

კეთილმოწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემო

კოლეჯში შექმნილია შესაბამისი გარემო განათლების მისაღებად, ინფრასტრუქტურა გამართულია. კოლეჯი აღჭურვილია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით, 24 სთ-იან რეჟიმში მუშაობს დაცვის სამსახური, დაცულია უსაფრთხოების ზომები. კოლეჯის ინფრასტრუქტურა სრულად პასუხობს შშმ და სსსმ პირების სასწავლო საჭიროებებს.

ადმინისტრირება

კოლეჯის დირექციის და ადმინისტრაციის წარმომადგენლების დიდ ნაწილს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, გააჩნია პროფესიულ განათლებაში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც კოლეჯის ეფექტური ადმინისტრირების საშუალებას იძლევა.

კვალიფიციური პედაგოგიური პერსონალი

- კოლეჯს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება პროფესიული განათლების განხორციელებისა და განვითარების მიმართულებით;
- კოლეჯის ორმოცდაორი მასწავლებლიდან 25 ქალია, 17 მამაკაცი. ორს (ქალი) აქვს დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 19 ქალს და 13 მამაკაცს - მაგისტრის ან მაგისტრთან

გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, 4 ქალს - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, 4 მამაკაცს მიღებული აქვს პროფესიული განათლება, მათ დიდ ნაწილს აქვს პროფესიულ განათლებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. კოლეჯის მასწავლებლებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კუთხით მიღებული აქვთ მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. კოლეჯს ყავს შშმპ და სსსმპ-თან მუშაობის გამოცდილების მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი -ინკლუზიური განათლების სპეციალისტი - ქალი, ასისტენტი - მამაკაცი.

კოლეჯის გენდერული ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკა

კოლეჯი „განთიადის“ სტუდენტთა და მასწავლებელთა გენდერული სტსტისტიკა გვიჩვენებს, რომ კოლეჯში 2 ჯერ ნაკლებად არიან წარმოდგენილი გოგონები/ქალი სტუდენტები. შშმპ და სსსმ სტუდენტთა შორისაც კაცები ჭარბობენ ქალებს. დუალური ტიპის სწავლებაში ჩართული 18 სტუდენტიდან 6 გოგონა/ქალია. სასწავლებელი მიატოვა 33 სტუდენტმა და მათ შორის 26 გოგონა/ქალია (უმეტესობა მათგანი ფერტილური ასაკის). სერტიფიცირებულ 21კურსდამთავრებულ სტუდენტთა შორის 17 გოგონა/ქალია. კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობა 112 მათ შორის 19 გოგონა/ქალი და 93 ბიჭი/კაცი. კოლეჯს აქვს პროფესიები სადაც არც ერთი გოგონა/ქალი არ არის კურსდამთავრებული და, ასევე არის პროფესია სადაც არ არის არცერთი კურსდამთავრებული ბიჭი/კაცი. მხოლოდ ერთ პროფესიაში მეფუტკრეობა, ჩვენ ვხედავთ 50/50 გადანაწილებას ქალებსა და კაცებს შორის.

თითქმის მსგავსი დისბალანსია მასწავლებლებს შორის სადაც ჭარბობენ ქალი პედაგოგები. პროფესიული განათლების მასწავლებლების გენდერულ თანაფარდობას სასწავლო პროგრამების/ დისციპლინების მიხედვით თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ 42 მასწავლებლიდან 25 ქალი პედაგოგია. ისინი, ჭარბობენ იმ პროფესიებშიც სადაც ნაკლებად ან სულ არ არიან წარმოდგენილი გოგონა/ქალი სტუდენტები: ელექტრიკოსის, თაბაშირ მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი, შედუღება (ინტეგრირებული), სანტექნიკის–სისტემების ექსპლუატაცია, იატაკისა და ფილის სამუშაოები.

მიღებული მონაცემები პირდაპირ მიგვანიშნებს პროფესიული პროგრამების არჩევის ტრადიციულ გენდერულ შეფერილობაზე პროფესიების დაყოფაზე სქესის ნიშნით სტუდენტთა შორის. რაც, ასევე აისახება პროფესიული სწავლების შემდგომ დასაქმების მაჩვენებლზეც ბიჭების/კაცების დასაქმების მაჩვენებლები პროცენტულად უფრო მაღალია გოგონების/ქალების დასაქმების მაჩვენებლზე. შესაბამსად, ყურადღება უნდა მიექცეს კოლეჯის სტუდენტთა შორის გოგონათა/ქალთა რაოდენობის გაზრდას სწორედ იმ პროფესიებში სადაც ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილი და სადაც მათ დასაქმების ბაზარზე უფრო მაღალი შესაძლებლობა ეძლევათ.

საბიბლიოთეკო ფონდი

ბიბლიოთეკის ფონდი მოიცავს 27662 საბიბლიოთეკო ერთეული (27396 ბეჭდური, 266 ელექტრონულ მატარებლებზე არსებული).

პროგრამები

კოლეჯი ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის 3 პროგრამას დუალური მიდგომოთ, ერთ ინტეგრირებულ პროგრამას.

კოლეჯში შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა, სწავლება თეორიულ და პრაქტიკულ კურსებზე ხორციელდება პარალელურად.

კოლეჯი შესაბამის ყურადღებას უთმობს გენდერულ წარმომადგენლობას იმ პროფესიებზე სადაც საერთოდ არ ან ნაკლებად არიან წარმოდგენილი გოგონები/ქალები, ბიჭები/კაცები.

კოლეჯი ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამებს“, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ,,სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამით“ გათვალისწინებულ პროფესიული უნარების კურსებს, აგრეთვე მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

კოლეჯში შემუშავებული პროგრამების განსახორციელებლად ხელშეკრულებები გაფორმებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან და პროფესიულ პედაგოგებთან. სხვადასხვა ტრენინგების საშუალებით სისტემატურად ხდება მათი გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. კოლეჯი აღჭურვილია პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან,

- უნივერსიტეტის თანადგომა (კოლეჯი უნივერსიტეტის დაფუძნებულია და დიდია განვითარების პასუხისმგებლობა)
- მზარდი სახელმწიფო მხარდაჭერა (განათლების სამინისტრო)
- პროგრამების გარე ინიცირების შესაძლებლობა

გამოწვევები

- კარიერული რჩევების/კონსულტაციის გაცემისას დაძლეული უნდა იყოს გენდერული სტერეოტიპები, რომელიც პროფესიულ პროგრამებს „ქალურ“ ან „მამაკაცურ“ პროფესიებად ყოფს. კოლეჯმა ამ მიმართულებით, უნდა ჩამოაყალიბოს ინოვაციური, თანამედროვე მიდგომა, პროფესიულ პროგრამების სტუდენტთა შორის გენდერული ბალანსის

ხელშესაწყობად. შესაძლებელია დონორებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საინფორმაციო კამპანიების წარსამართად და საუკეთესო როლური მოდელების პოპულარიზაციისათვის.

- საპენსიო ასაკი და დაბალი როტაცია - კოლეჯის ორმოცდაორი მასწავლებლიდან თერთმეტს აქვს (7 კაცი, 4 ქალი)
- კოლეჯის სტუდენტების ძირითად ნაწილს წარმოადგენენ რაიონების/სოფლების მაცხოვრებლები, რომელთა უმეტესობის სოციალური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას საკუთარი სახსრებით გადაიხადონ ბინის ქირა ან/და დაფარონ ყოველდღიური მგზავრობის ხარჯები. შესაბამისად, რთულდება სწავლა/სწავლებაზე მათი ხელმისაწვდომობა.
- კოლეჯს არ გააჩნია საკუთარი შენობა. იჯარით აღებული შენობის გამო კოლეჯს აქვს გარკვეული შეზღუდვები პროგრამების დამატების მიმართულებით.
- კოლეჯს არ აქვს ტრანსპორტი სტუდენტების ტრანსპორტირებისთვის
- კოლეჯს არ აქვს კვების ობიექტი (ბუფეტი);
- კოლეჯს არ აქვს საერთო საცხოვრებელი ;
- პარტნიორი ორგანიზაციების სიმწირე
- სკეპტიციზმი საზოგადოებაში, პროფესიული განათლების სტერეოტიპული ხედვა (მაღალია მიმართვა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე) არაპრესტიჟულობა, სნობიზმი
- მასწავლებელთა მიღების მკაცრი კრიტერიუმები
- სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი მოტივაცია (დაბალი ანაზღაურება)
- გარკვეულ პროფესიებზე არის მაღალი მოთხოვნა, მაგრამ კვლავ დაბალია მოთხოვნა შესაბამის სასწავლო პროგრამებზე
- გარკვეულ პროგრამებზე არის მასწავლებლების სიმწირე ან მათი ცოდნის გაზიარების დაბალი ინტერესი
- მაღალკვალიფიციური (პოტენციური) მასწავლებელი საზღვარგარეთ ან თბილისში საქმდება და ტოვებს რეგიონს
- ბაზრის კვლევის სუსტი მექანიზმები
- საერთაშორისო კონტაქტების ნაკლებობა;

პრიორიტეტები

- გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად გოგონებისა და ბიჭების არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა განსაკუთრებული აქცენტით ტექნიკურ/ტექნოლოგიურ სწავლებაზე;
- პროფესიული პროგრამების „ქალური“ და „მამაკაცური“ შეფერილობის დასაძლევად სტუდენტთა ხელშეწყობა იმ პროგრამებზე სასწავლებლად, სადაც ნაკლებად არიან წარმოდგენილი;

- მნიშვნელოვანია, პროფესიებში გენდერული თანასწორობის მიმართულებით ადგილობრივი და სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება და პოპულარიზაცია;
- პედაგოგთა შორის გენდერული ბალანსის მიღწევაზე ზრუნვა.
- მზარდი მოთხოვნები სამშენებლო და აგრარული მიმართულების სფეროებში - სამშენებლო და აგრარული მიმართულების სფეროები ქვეყანაში დინამიურად განვითარებად სეგმენტს წარმოადგენს. აღნიშნულ სფეროებში ყოველწლიურად იზრდება სამუშაო ადგილები და მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე, ასევე იკვეთება მოთხოვნა ახალ პროფესიებზე, რაც შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს, გაამრავალფეროვნოს სერვისი.
- დონორი ორგანიზაციების ინტერესი - ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის ინტერესი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხრიდან. კოლეჯს გააჩნია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება. შესაბამისად, გეგმავს საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირებისა და საერთაშორისო კონტაქტების გაძლიერებით კიდევ უფრო ეფექტურად გამოიყენოს საერთაშორისო დონორების მხარდაჭერა.
- დამსაქმებელთა ინტერესი - დამსაქმებელთა თანამშრომლობა, ერთის მხრივ, მნიშვნელოვანია პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საქმეში და, მეორეს მხრივ, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლების გაზრდისათვის. ორივე მიმართულებით თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს კოლეჯის იმიჯის განმტკიცებას. პროფესიული სწავლების შემდგომ დასაქმების მაჩვენებლზეც გენდერული დისბალანსის აღმოსაფხვრელად ყურადღება უნდა მიექცეს კოლეჯის სტუდენტთა შორის გოგონათა/ქალთა რაოდენობის გაზრდას სწორედ იმ პრიფესიებში სადაც ისინი ნაკლებად არიან წარმოდგენილი და რა პროფესიებზეც დიდი მოთხოვნაა დამსაქმებლების მხრიდან.
- ინფრასტრუქტურული გაუმჯობესება
- ინტეგრირებული პროგრამების განვითარება/გაზრდა (სამინისტროს ინიცირებული პროექტის- შრომის უნარების გაძლიერება სკოლებში მსგავსად)
- სკოლის კონტიგენტის მშობლებთან მუშაობა (კარიერის არჩევის და კარიერული ზრდის მოტივაციაზე გავლენას ახდენს მშობელი)
- მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების ახალი პროგრამები (თვითმმართველობასთან კოორდინაციით)
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება
- შშმ და სსსმ კურსდამთავრებულთათვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა
- ჟესტური ენის სწავლების მოკლევადიანი კურსის მომზადება

<u>საფრთხეები</u>

პანდემიური სიტუაცია

ქვეყანაში პანდემიური სიტუაციის დადგომა წარმოადგენს პროგრამების განხორციელებისთვის ხელისშემშლელ ფაქტორს.

პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების/გადამზადების სისტემა.

პროფესიული განათლების სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლების მომზადების ან გადამზადების სისტემის არარსებობა.

პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების მოტივაცია

პროფესიულ განათლებაში ჩართული კომპანიების და დამსაქმებლებისათვის, ასევე მათთვის, ვინც შესაძლებელია, შემდგომში ჩაერთოს განათლების ამ სეგმენტში, არასაკმარისი მოტივაცია მნიშვნელოვნად ამცირებს შესაძლებლობას, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების სისტემაში და ხელი შეუწყონ განათლების ამ სეგმენტის სწორ განვითარებას.

საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფონი - სტუდენტთა უმრავლესობა სოფლებიდან დადის, ქვეყანასი არსებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, მგზავრობის ხარჯი მათი ნაწილისთვის მძიმეა.

ახალგაზრდების გადინება (როგორც შიდა ასევე გარე მიგრაცია) - ახალგაზრდების დიდი ნაწილი ცდილობს სამუშაოს მოძიებას დედაქალაქში ან ქვეყნის გარეთ.

სტრატეგიული მიზანი N1										
ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვა										
ამოცანა	**განსახორციელებელი აქტივობა**	**წლები**							**შესრულების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი პირი**
		2020	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**		
1. კოლეჯის სამართლებრივი დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანა ახალ სტანდარტებთან	კოლეჯის მისიის, ხედვის ღირებულებების დოკუმენტის შემუშავება								შემუშავებული დოკუმენტი	დირექტორი
	სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და მის საფუძველზე გეგმის შედგენა .								შემუშავებული დოკუმენტები	დირექტორი
	შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შედგენა და დამტკიცება								დამტკიცებული დოკუმენტი	დირექტორი
	სამოქმედო გეგმების შეფასება								წლიური ანგარიში, დამტკიცებული სამოქმედო გეგმა	დირექტორი
სტრატეგიული მიზანი N2										
ახალი პროფესიული საგანმანათლებლო (მათ შორის დუალური მიდგომით) და პროფესიული მომზადების/პროფესიულიგადამზადების პროგრამების შემუშავება და დამატება										

ამოცანა	განსახორციელებელი აქტივობა	წლები							შესრულების ინდიკატორი	პასუხისმგებელი პირი
		2020	2021	2022	2023	2024	2025	2026		
1. რეგიონის ბაზრის კვლევა და ანალიზი	კითხვარების მომზადება დამსაქმებელთათვის. კითხვარების შედეგების ანალიზი								ანალიზის დოკუმენტი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
	პროფესიული განათლების მსურველების გამოვლენა, ონლაინ კითხვარების საშუალებით								ანალიზის დოკუმენტი	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
	შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებში გენდერული თანასწორობის მიღწევის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანი ბიზნეს გარემოს შესაქმნელად								შემუშავებული დოკუმენტი გენდერული სტატისტიკა	დირექტორი
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დამატება	მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დამატება								ავტორიზებული მოდულური პროგრამა	ხარისხის მართვის მენეჯერი
	ზოგადი მოდულებით ინტეგრირებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დამატება								ავტორიზებული ინტეგრირებული პროგრამა	ხარისხის მართვის მენეჯერი
	დუალური პროფესიული საგანმანათლებლო								ავტორიზებული დუალური	ხარისხის მართვის მენეჯერი

	პროგრამების შემუშავება-დამატება								პროგრამები	
	პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავება დამატება.								ავტორიზებული მომზადება/გადამზადების პროგრამები	ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი
მიზანი #3 **სწავლის ხარისხის გაუმჯობესება**										
ამოცანა	**განსახორციელებელი აქტივობა**	**წლები**							**შესრულების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი პირი**
		2020	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**		
1. სწავლის პროცესის დახვეწა და წარმატებული სწავლების მეთოდების დანერგვა	სწავლის პროცესისა და სწავლების მეთოდების რეგულარული მონიტორინგი და შეფასება								შეფასების დოკუმენტი	დირექტორის მოადგილე
	სწავლების საუკეთესო მეთოდების დანერგვა პროცესში.								მტკიცებულების დოკუმენტები	სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი

	კალენდარული გეგმების შემუშავება, შეფასება								შემუშავებული გეგმები	სასწავლო პროცესისა და სასწავლო საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი
2. განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება გენდერული თანასწორობის მისაღწევად პროფესიული განაწილების სტერეოტიპების რღვევის ხელშეწყობა	კოლეჯის აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური მდგრადობის ხარისხის, გაუმჯობესებული სერვისის უზრუნველყოფა								შემუშავებული დოკუმენტი გენდერული სტატისტიკა	დირექტორი
	სტუდენტთა დაინტერესების, მოზიდვის ინოვაციური კამპანიების დაგეგმვა, პროფესიული პროგრამების გენდერული შეფერილობის დასაძლევად								დაგეგმილი კამპანიების მასალები	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
	კოლეჯის კურსდამთავრებულთა გენდერული თანასწორობის წარმატებული მაგალითების პოპულარიზაცია								წარმატებული მაგალითებზე მომზადებული მასალა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
	მასწავლებელთა ჩართვა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებსა და კურსებში								ტრენინგებისა და კურსების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი, ტრენინგებზე დასწრების ფურცელი	დირექტორის მოადგილე

2. მასწავლებელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა	მასწავლებელთა ჩართვა გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში								შიდა ბრძანებები	დირექტორის მოადგილე
	მასწავლებლების გენდერული ცნობიერების გასაზრდელად გენდერის ტრენინგების ჩატარება								ტრენინგში მონაწილე მასწავლებელთა სია	ხარისხის მართვის მენეჯერი
3. სტუდენტთა სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მოტივირება	სტუდენტების წახალისების სისტემის შემუშავება და დანერგვა								შემუშავებული დოკუმენტი	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.
	კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა								დასაქმებულთა რაოდენობა, გენდერული სტატისტიკა	პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი
	სტუდენტებისთვის ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის სწავლების მიმართულებით საინფორმაციო საგანმანათლებლო კამპანიების წარმოება								საინფორმაციო საგანმანათლებლო კამპანიების მასალა	დირექტორი

მიზანი #4

ადამიანური რესურსების გაძლიერება

ამოცანა	**განსახორციელებელი აქტივობა**	**წლები**	**შესრულების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი პირი**

		2020	2021	2022	2023	2024	2025	2026		
კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის შესაძლებლობების გაუმჯობესება	ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემის შექმნა და დანერგვა								შემუშავებული დოკუმენტი	დირექტორი
	პერსონალის წლიური ანგარიშების შეფასება და ანალიზი								ანგარიშების დოკუმენტი	დირექტორის მოადგილე
	ანგარიშების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით პერსონალის გადამზადება								გადამზადებული პერსონალის სია	დირექტორის მოადგილე
კოლეჯის პედაგოგების შესაძლებლობების გაუმჯობესება	წარმატებული პედაგოგების გამოვლენის მეთოდოლოგიის შექმნა და დანერგვა								მეთოდოლოგიის დოკუმენტი	დირექტორის მოადგილე
	წარმატებული პედაგოგების მოტივირება და წახალისება								შიდა ბრძანებები	დირექტორი
	არსებული პროფესიების გენდერული ნიშნით დაყოფის სტერეოტიპული მიდგომების შეცვლა საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიის წარმოება								გენდერული სტსტისტიკური მონაცემები მომზადებული საგამნანათლებლო, საინფორმაციო მასალა	დირექტორი

სტრატეგიული მიზანი N6 **კოლეჯის ინსტიტუციური განვითარება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში**										
ამოცანა	**განსახორციელებელი აქტივობა**	**წლები**							**შესრულების ინდიკატორი**	**პასუხისმგებელი პირი**
		2020	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**2025**	**2026**		
კოლეჯის შესახებ ინფორმაციის საერთაშორისო დონეზე ხელმისაწვდომობა	კოლეჯის ვებ-გვერდზე საინფორმაციო ფანჯრის ჩაშენება								ვებ-გვერდი	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
	სხვადასხვა საინფორმაციო ღონისძიების განხორცილება საერთაშორისო სივრცეში								დაწესებულების ცნობადობის ზრდა ქვეყნის გარეთ	საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი
ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება და პარტნიორული ქსელის გაფართოვება	კონტაქტების მოძიება, პარტნიორობის დამყარება								პროფესიული სასწავლებლის საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის მაჩვენებელი	საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი
	საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანება								პროფ. სასწავლებლის საერთაშორისო ორგანიზაციებში, ქსელებსა და კავშირებში წევრობის მაჩვენებელი	საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი

კოლეჯის პერსონალის , სტუდენტთა მობილობა; (სტაჟირება/სწავლება)	ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებულობა								ფოტო ან სხვა სახის მტკიცებულებები	დირექტორი
	მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში								გაცვლით პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობა	საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი
კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული შესაძლებლობების შექმნა და კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარება	საჭიროების შემთხვევაში უცხოელი სპეციალისტების მოწვევა								პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციული პერსონალის განმავითარებელი საერთაშორისო აქტივობების რიცხვი, მასში ჩართული პერსონალის მაჩვენებელი	დირექტორი
	თანამშრომელთათვის უცხო ენის სწავლების უზრუნველყოფა								გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა	დირექტორი
	საერთაშორისო ფორუმებში, სასწავლო ვიზიტებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა								მონაწილეთა რაოდენობა	დირექტორი

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის და გამოცდილების გაზიარება და დანერგვა	საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების იდენტიფიცირება, საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზრებისა და უცხოელო დამსაქმებელთა მოთხოვნების შესწავლა								პროგრამების რაოდენობა, უცხოელი დამსაქმებლების მოთხოვნის ანალიზი	საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი
	უცხოელი პარტნიორების გამოცდილების გაზიარება და შესაძლებლობის მიხედვით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მორგება-დანერგვა								სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის შედეგებით მათი კმაყოფილების მაჩვენებელი,	საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი